

რესპირატორის აპლიკაცია

- დაიჭირეთ რესპირატორი საცხვირით ზევით
- გაშალეთ რესპირატორი
- გადაამისამართეთ ღვედები ხელის ზურგის მხარეს
- მოირგეთ რესპირატორი სახეზე
- გადაიტარეთ ქვედა ღვედი თავზე – ყურების დონეზე დაბლა
- გადაიტარეთ ზედა ღვედი თავზე – თვალების დონეზე მაღლა
- მოუჭირეთ ცხვირის მეტალის სამაგრი
- დარწმუნდით, რომ რესპირატორი ნიკაპის ქვეშ კარგადაა ამოღებული

(!) არასდროს მოირგოთ რესპირატორი შებრუნებით



შეამოწმეთ რესპირატორი დადებით წნევაზე

- რესპირატორის ზედაპირი სრულად დაფარეთ ხელებით
- ღრმად ამოისუნთქეთ
- დარწმუნდით, რომ ამოისუნთქვისას ჰაერი არ ჟონავს რესპირატორის კიდეებიდან (წინააღმდეგ შემთხვევაში ხელახლა მოირგეთ და შეამოწმეთ რესპირატორი დადებით წნევაზე)

რესპირატორის შეამოწმება უარყოფით წნევაზე

- რესპირატორის ზედაპირი სრულად დაფარეთ ხელებით
- ღრმად ჩაისუნთქეთ
- დარწმუნდით, რომ რომ ჩასუნთქვისას შეიქმნა ვაკუუმი, შესაბამისად, რესპირატორი სრულად აეკრა სახეს, (წინააღმდეგ შემთხვევაში მოიხსენით რესპირატორი და დაათვალიერეთ, ხომ არ არის დაზიანებული. თუ რესპირატორი საღია, ხელახლა მოირგეთ და შეამოწმეთ უარყოფით წნევაზე)

გვახსოვდეს !!!

- რესპირატორის გამოყენება ვერ ჩაანაცვლებს გარემოს კონტროლის ღონისძიებებს
- თუმცა ის წარმოადგენს მაღალეფექტიან საშუალებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტბ-ინფექციის ადმინისტრაციული და გარემოს კონტროლი ადექვატურად ფუნქციონირებს



ტბ-ინფექციისგან
პერსონალური დაცვის
საშუალებები

რესპირატორები



USAID
ამერიკელი საზღვარსაღარო

ბაბერაულოზის
პრევენციის
პროექტი



საბიოლოგიური კვლევის კავშირი
HEALTH RESEARCH UNION

- სამედიცინო დაწესებულებაში რესპირატორების გამოყენება წარმოადგენს დამატებით დამცავ მექანიზმს მიმართულს პერსონალის ინფექციურ უსაფრთხოებაზე
- რესპირატორი იცავს პერსონალს ჰაერის გზით გადამდები ტბ-ინფექციისგან

რესპირატორები გამოიყენება

- ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ (განსაკუთრებით მულტი და ექსტენსიურად რეზისტენტული ფორმის) პაციენტებთან მუშაობის დროს
- ტბ-საექვო პაციენტებთან მუშაობის დროს
- სივრცეებში, სადაც გარემოს კონტროლი არ წარმოადგენს აბსოლუტურად ეფექტიან მიდგომას ტბ-ინფექციისგან დასაცავად
- ინფექციური აეროზოლის დაგროვების მაღალი რისკის პროცედურების ან მანიპულაციების ჩატარებისას (ნახველის შეგროვების მანიპულაცია, ბრონქოსკოპია, ინტუბაცია, სანაცია, ასპირაცია, აუტოფსია, ფილტვის ქირურგია, მიკობაქტერიოლოგიური ლაბორატორიული მანიპულაცია)
- ტბ- დაავადებული ან ტბ-საექვო პაციენტთა განყოფილებებში და მიმდებ განყოფილებებში

აგრეთვე

- (!) რესპირატორი უნდა გამოიყენონ ვიზიტორებმა დაავადებულ პაციენტებთან დახურულ სივრცეში ვიზიტისას
- (!) რესპირატორების გამოყენება არ არის რეკომენდირებული ტბ-პაციენტებისთვის

- ამ შემთხვევაში ქირურგიული ნიღბები აბსოლუტურად იცავს ხველის ეტიკეტს და მიჩნეულია საკმაოდ ეფექტიან საშუალებად ტბ-ინფექციური ნაწილაკების გამოყოფის შესამცირებლად
- რესპირატორთან შედარებით ქირურგიულ ნიღბს ნაკლები ფილტრაციული ეფექტიანობა აქვს - 50%-ს შეადგენს

(!) ქირურგიული ნიღბი არ გამოიყენოთ ტბ-ინფექციისგან პერსონალის დასაცავად

ტბ-რესპირატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ 1 მკმ ნაწილაკების (ტუბერკულოზის გამომწვევის ზომები 1-5 მკმ) ფილტრაციის უნარი
 - ✓ ფილტრაციის ეფექტიანობა $\geq 95\%$ (ჟონვა $\leq 5\%$)
 - ✓ ჰაერის ნაკადების სიხშირე 50 ლ/წთ
 - ✓ ტბ-ინფექციის ეფექტიანი კონტროლისთვის რეკომენდირებულია შემდეგი სახის რესპირატორების გამოყენება:
1. აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრისა (CDC) და ოკუპაციური უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (NIOSH) სტანდარტის რესპირატორი - N95 - ფილტრაციის ეფექტიანობა $\geq 95\%$



2. ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN) სტანდარტის რესპირატორი - FFP2 - ფილტრაციის ეფექტიანობა $\geq 95-98\%$



რესპირატორის ფილტრაციის ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს

- არასწორი მორგება (ჰაერი მოძრაობს რესპირატორის კიდეებსა და ადამიანის კანს შორის)
- წვერ-ულვაშიან სახეზე მორგება
- რესპირატორის მთლიანობის დაზიანება ან დაკუჭვა
- რესპირატორის დასველება
- ერთჯერადი ტბ-რესპირატორები შეიძლება იყოს სარქველიანი ან სარქველის გარეშე. ერთჯერადი მოხმარების გამო არ საჭიროებს შენახვის სპეციფიკური ზომების დაცვას. მსუბუქი და კომფორტულია მოსახმარად.

(!) არ გამოიყენოთ სარქველიანი რესპირატორი სტერილურ სივრცეებში, როგორცაა ბოქსები და საოპერაციო ბლოკები

- მრავალჯერადი ტბ-რესპირატორები საჭიროებს მოვლისა და შენახვის სპეციფიკური ზომების დაცვას. რესპირატორი გამოყენების შემდეგ უნდა იქნას შენახული სუფთა, მშრალ და მზის სხივებისგან დაცულ ადგილას. რესპირატორის დაზიანების ან დასველების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი გამოცვლა

(!) პერსონალის თითოეულმა წევრმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მისი რესპირატორი